ძველი თოფურიას ბრიგადა ფონდი

287 1 № 79

287 1 № 79

დასკანირებულია 15 012 21

13.

3/I-1974

წიგნის სამყარო № 1.

მხოლოდ შთაბეჭდილება

ეკლიანი მავთულხლართების ფონზე ადამიანთა მილუული, ჩონჩხად ქცეული ლარდებიდა მოჩანს. ისინი თითქოს ხსნას ელიან. მაგრამ ამ ჯასიურ ლოდინშიც იგრძნობა შინაგანი სულიერი მხნეობა, სიმტკიცე და მობილიზება, სულიერი ძალების მობილიზება უკიდურესი განსაცდელის ჟამს. ასე გვაახლოებს წიგნის გარეკანი მის სევდიან მ...არსს. ეს სევდა კი ტყვეობის უძიმესი, უსაშინელესი განცდეთით წარმოშობილი სევდაა. აქ ერთდება სამშობლოსაგან მოწყვეტის, სამშობლოს დაკარგვის და საკუთარი ბედის ტრაგიკული დასასრულის კოშმარული განცდები. ...იბრძოდა მთელი თავდადებით, მთელი თავგანწირვით და უცებ ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა. დაირღვა ყირიმის ფრონტი, დრობებით შეირყა მისი შენაერთების, დივიზიების, ლეგიონების, ქვეგანყოფების საბრძოლო ერთიანობა, უწესრიგო უკანდახევას ბევრი მოულოდნელობა და მსხვერპლი მოჰყვა. გატყდა ჭერჩის ნახევარკუნძულის გარშემო ზღვისპირას განლაგებულ ჭვის სამტეხლოების გამოქვაბულებსა და კატაკომბებში თავშეფარებულ მებრძოლთა უკანასკნელი წინააღმდეგობა. შენ უკვე ტყვეობაში ხარ, ფაშისტური გერმანიის ტყვეობაში...

ყირიმიდან შენი გზა ჯერ ოკუპირებულ ნიკოლაევისაკენ მიემართება, შემდეგ კი — ოდესისაკენ, მიდიხარ დაღონებული, თავდახრილი, მშიერი. მიმყვები შენსავით ურიცხვ უფლებააყრილ ადამიანებს. წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ შეიარაღებული დაცვა. პოგადევს. აი, ნიკოლაევის შესასვლელთან გზებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხილეულობა, საჭმელი და თანაგრძნობით აღსავსე მზერა დაგახვედრეს. მაგრამ თქვენი გამყოლი გერმანელი მცველები გაიძულებენ გულგრილად აუაროთ მათ გვერდი. ასე ღამდება და თენდება შენთვის ცისქვეშ, წვიმასა და სიცივეში 1942 წლის გაზაფხულის მცხუნვარე დღეებიდან გვიან შემოდგომამდე. შემდეგ მგზავრობის ახალი ფორმები, ახალი მარშრუტები. გადასვლა ერთი ბანაკიდან მეორეში და ბოლოს რუმინეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო „დაბა-ქალაქში“ თითქოსდა სამუდამოდ „ჩასახლება“.

... ვის არ შეხვდი ამ ხნის მანძილზე შენი დივიზიის თანამებრძოლებიდან თუ თანამემამულეებიდან! ყველას სახელი და გვარი, ყველას სახე და მოჭმედება ასე ცოცხლად და ზუსტად როგორ დაგამახსოვრდა! როგორი სიფრთხილით და სიმტკიცით აწყობდით არალეგალურ ჯგუფებს და უჯრედებს, ტყვეობიდან დახსნის და მტრის წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში კვლავ ჩაბმის გეგმებს. და ეს ნატვრაც ასრულდა. რუმინეთის განთავისუფლება თქვენი განთავისუფლების დღედაც იქცა. ისევ შეერთდით საბჭოთა არმიასთან, ისევ ბრძოლა უნგრეთის მიწა-წყალზე. ისევ ჭრილობა და ბოლოს გამარჯვებული დაბრუნება შინ.

ასეთია მოკლედ ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი ეს ტანჯვა-წვალებით, მწარე, მაგრამ რაინდული შემართებით აღსავსე თავგადასავალი, რომელსაც დოკუმენტური პროზის სტილით გადმოგვცემს საქართველოს სსრ დამსახურებული ურნალისტი ვახტანგ სიხარულიძე შარშან „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ თავის ახალ წიგნში „ეკლიან მავთულხლართებში“. ამ წიგნის ავტორი დიდი სამამულო ომის დროს რედაქტორობდა 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის წითელარმიულ გაზეთს და პირადად მონაწილეობდა ყირიმში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ამდენად მისი თავგადასავალი მთელ იმ თანამებრძოლთა თავგადასავალია, რომელთაც წილად ხვდათ განეცადათ ტყვეობაში ყოფნის ტრაგედია.

ვახტანგ სიხარულიძეს, როგორც ურნალისტს, არა ერთი ხიგნი, ნარკვევი და სტატია აქვს დაწერილი დიდი სამამულო ომის თემაზე, 224-ე დივიზიის საბრძოლო მოქმედების გზებზე. მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს შორის „ეკლიან მავთულხლართებში“ გამოირჩევა განსაკუთრებული სპეციფიკური ხასიათით, ქართველ მეომართა მიერ ტყვეობაში გატარებული პერიოდის მართალი აღწერით. წიგნის ეს მთავარი ღირსება გახდა სწორედ მკითხველთა შორის მისი პოპულარობის საფუძველი. ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ასეთი წიგნების მნიშვნელობა კი, თავისთავად ცხადია, მეტად თვალსაჩინოა.

ვ. თავხელიძე

ვ. ვახტანგაძე

ილუზიებით კი არ ირთობს თავს, არამედ გულმხურვალედ სურს თავისი ადგილი მოიპოვოს საზოგადოებაში, პოეზიაში, ინატროს მხოლოდ ის, რისი ასრულებაც შეუძლია:

მაისი ტანზე თეთრად მომათოვს,
მთენთავი სუნი ექნება კორდებს,
ისეთი რამე უნდა ვინატრო, —
ახდენის ცოტა იმედი მქონდეს.

მეტად თბილი განწყობილებით არის დაწერილი უსათაურო ლექსები: „მე არ ვიქნებოდი, სხვა იქნებოდა...“, „სხვა საჩუქარი მოგვეძღვნა რამე...“, „ქალი ვარ და ვარ“ და სხვა.

ლექსში „დედა“ ავტორი თავის თავს დედის სახეში აიგივებს და დასძენს:

ნუ დაიჯერებ — ჩემს ტოლ
გოგონებს
რომ ჩემზე მეტად უყვართ
დედები...
შენი წუხილით მე ჯვარზე მაცვეს
და თითქოს შენთან ერთად
ვბერდები...

ახალი კუთხით არის დანახული პოეტის ლექსებში ზღვა. მისი დამოკიდებულება ზღვასთან მშვენიერი სახეებით არის შეკავშირებული.

განცდათა უმანკოება, განწყობილების მთლიანობაში აღქმა და გადმოცემა ახასიათებს დოდო ჭუმბურიძის სატრფიალო ლირიკას.

როგორც ადამიანს პაერი, ისე სჭირდება შემოქმედის სულს სივრცე, ჭროლვა და ლტოლვა... მისწრაფებებს საზღვარი არა აქვს, გულის წადილსა და ღელვას დაოკება უნდა. დიდია პოეტის სწრაფვა უსაზღვრო ოკეანეებისაკენ, ლურჯი ცისა თუ თეთრი მწვერვალებისაკენ, უცნობი ქვეყნებისაკენ... დაუოკებელი გული დუღს, ბობოქრობს, რათა აღმოაჩინოს ახალი პოეტური სახეები.

კარგი ლექსია „ხომ შეიძლება“, მაგრამ ანა კალანდაძის ერთ ლექსს გვახსენებს: „შემოიპაროს ოთახში მკრთალი, ჩუმად მომხვიოს ხელი“.

მაგიდო

თვლილ ელექტრონთა სიმკვრივეს შეესაბამება მოლეკულაში.

თეორიის ცხოველმყოფელი ძალა არის მისი უნარი — წინასწარ განსჭვრიტოს ახალი მოვლენები (ისე, როგორც დიდი რუსი მეცნიერის დ. მენდელეევის პერიოდულობის კანონი იძლევა ამის საშუალებას). კლასიკურ-სტრუქტურულ თეორიას ეს უნარი ჰქონდა

ჩარსულის ფურცელი

«ვეფხისტყაოსანი» მაინცის გამოფენაზე

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, 1900 წლის თებერვალში, გერმანუ-

თება, ჯერ უნახავი შრიფტი და სხვა), არამედ თვით წიგნის ში-